პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 136 (5426)

1975 წ. 10 ივლისი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა

სპარტაკიადის ტაბლო

ადგილები, ქულები

	აკად. ნიჩბ.	ძიუდო	თავისუფ. ჭიდ.	ფრენბ. (ვაჟ.)	საგზატკ. ველოსპორტი	21 სახეობის ჯამში
რსფსრ	308,5	176	232	30	84	6321,5
უკრაინა	236,5	86	120	42	—	5259,5
მოსკოვი	411	114	126	90	12	5149
ლენინგრადი	308	26	82	72	6	3846,5
ბელორუსია	16	20	160	24	42	3047
საქართველო	2	194	94	—	—	2110
ყაზახეთი	43	12	48	36	16	1982
ლიტვა	202	8	10	—	36	1850,5
უზბეკეთი	32,5	20	66	18	48	1831,5
ლატვია	60	12	16	54	30	1679
მოლდავეთი	30	64	82	—	12	1506
აზერბაიჯანი	—	—	126	—	—	1298
ესტონეთი	58	—	26	—	10	1197
სომხეთი	—	26	40	—	—	1114
ყირგიზეთი	—	18	18	—	34	921
ტაჯიკეთი	—	—	18	—	36	865,5
თურქმენეთი	--	—	—	—	—	506

შენიშვნა: ცხრილში შეტანილია საკავშირო ახალგაზრდული თამაშების შედეგებიც.

შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში (I ჯგუფი) ძირითადად სსრ კავშირის ნაკრების წევრთა და კანდიდატთა მონაწილეობით ჩატარდა. 14 ივლისს სტარტზე გამოვლენ II ჯგუფის მონაწილენი, ამიტომ ნიჩბოსანთა შედეგები ჯერ, რა თქმა უნდა, საბოლოო არაა.

ძიუდოისტთა ტურნირი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ათლეტთა უპირატესობით აღინიშნა. მათთან ერთად ქულების მთელი მარაგი რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის ძიუდოისტებმა გაინაწილეს. ძიუდოისტთა ტურნირის შედეგები განსაკუთრებით სასიხარულო იყო ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციისთვის, ვინაიდან სწორედ ამ სახეობის შემდეგ გადაინაცვლა საქართველომ მთავარ სატურნირო ცხრილში ერთი ადგილით ზევით და ყაზახეთს გაუსწრო.

გაცილებით მეტს მოველოდით თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისგან. საქმე მარტო ის კი არაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ათლეტები გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ VI ადგილზე გავიდნენ, არამედ ისიც, რომ ქულების რაოდენობით ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ ლიდერებს. მაგალითად, გამარჯვებულ კოლექტივთან — რსფსრ-ს ნაკრებთან ჩვენ 138 ქულა წავაგეთ. საგულისხმოა, ისიც, რომ გუნდურ ჩათვლაში გაგვისწრეს არა მარტო ძველმა მეტოქეებმა — ბელორუსიამ და უკრაინამ, არამედ მოსკოვმაც და აზერბაიჯანმაც, კოლექტივებმა, რომლებიც წინათ საგრძნობლად ჩამოგვრჩებოდნენ.

ქულები ვერ მიიღო ჩვენმა დელეგაციამ ვაჟთა ფრენბურთში და საგზატკეცილო ველორბოლაში, მაგრამ VI ადგილს მაინც ვინარჩუნებთ, ძირითადად, ძიუდოისტთა და სამბისტთა ბრწყინვალე გამოსვლების შედეგად.

ენერგიულად მიიწევს წინ ლიტვის დელეგაცია. ახლა მან VIII ადგილზე გადაინაცვლა და უზბეკეთს 19 ქულით გაუსწრო. ლიტველთა ესოდენ დიდი წარმატება უმთავრესად ნიჩბოსანთა ქულების შედეგია. ამ სახეობაში მათ V ადგილი დაიკავეს მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, ლენინგრადისა და უკრაინის შემდეგ.

საქართველოს და ყაზახეთის სპორტული დელეგაციების ბრძოლა VI ადგილისთვის გრძელდება. ამ ბრძოლაში ჯერჯერობით წინ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები არიან, რომლებიც 21 სახეობის შემდეგ მეტოქეს 128 ქულას უგებენ. წინაა დაძაბული ბრძოლები კიდევ 11 სახეობაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სპორტსმენები შეინარჩუნებენ იმ ადგილს, რომელზეც დღესდღეობით არიან.

ახალგაზრდობა უტევს

კიევი, 8 ივლისი. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის ყველას აჯობეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა — 232 ქულა. II ადგილზე არიან მოსკოვის სპორტსმენები — 126. III ადგილი ხვდათ აზერბაიჯანის სპორტსმენებს — 126.

— შეჯიბრებაში მონაწილეობდა 40 ქალაქის 156 წარმომადგენელი, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. დიაკინმა. — შეხვედრების უმეტესობისთვის დამახასიათებელი იყო ახალგაზრდობის თამამი შეტევა ჩემპიონთა პოზიციებზე. უნდა აღინიშნოს სსრ კავშირის ნაკრების წევრის მაჰომედ არაცილოვის ბრწყინვალე გამოსვლა. დაღესტნის სოფელ ხურუხის მკვიდრმა ჭაბუკმა ჭიდაობაში მეცადინეობა დაიწყო ოთხი წლის წინათ, როცა დაღესტნის სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში კი ცნობილი მსოფლიო ჩემპიონის ალი ალიევის მოწაფემ უკვე ოქროს მედალი მოიპოვა პირველ საშუალო წონაში. მან ჩამოიტოვა ორი მსოფლიო ჩემპიონი — ლენინგრადელი ნოვოჟილოვი და მინსკელი სიულქინი.

22 წლის კიშინიოველმა მოჭიდავემ პ. მარტამ ყველას აჯობა მეორე ქვესაშუალო წონაში, სადაც დაამარცხა სახელგანთქმული რ. აშურალიევი.

სპარტაკიადის უმაღლესი ჯილდოები პირველად მოიპოვეს, აგრეთვე, კიეველებმა ა. ხარიტონიუკმა (48 კგ-მდე) და პ. პინიგინმა (68 კგ-მდე), მოსკოველებმა ბ. ბაზევმა (62 კგ-მდე) და ა. პროკოპჩუკმა (30 კგ-მდე). ცნობილი ათლეტებიდან თავიანთი პოზიციების შენარჩუნება შეძლეს მხოლოდ ა. ალახვერდიევმა (52 კგ-მდე), ვ. იუმინმა (57 კგ-მდე), ქვემძიმე წონის ათლეტმა ვ. გულიუტკინმა და მძიმეწონოსანმა ს. ანდიევმა.

გაგაცნობთ სპარტაკიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებს:

48 კგ-მდე: რ. გაჯიევი (აზერბაიჯანი), მ. ნოგოვიცინი (უზბეკეთი),

52 კგ-მდე: რ. დმიტრიევი (მოსკოვი), ა. ივანოვი (ყაზახეთი),

57 კგ-მდე: რ. ნურმანოვი (ყაზახეთი), ვ. რადიონოვი (ლენინგრადი),

62 კგ-მდე: ი. კოროლიოვი (ბელორუსია), ბ. გაჯიევი (რსფსრ),

68 კგ-მდე: ი. ჰაიდარბეკოვი (აზერბაიჯანი), ტ. სოკაევი (მოსკოვი),

74 კგ-მდე: რ. აშურალიევი (რსფსრ), ჰ. ზანგიევი (უზბეკეთი),

82 კგ-მდე: ვ. ნოვოჟილოვი (ლენინგრადი), ვ. სიულქინი (ბელორუსია),

90 კგ-მდე: ბ. ტუნგაევი (რსფსრ), რ. რუდერმანი (ბელორუსია),

100 კგ-მდე: ლ. თედიაშვილი (საქართველო), ი. იარიგინი (რსფსრ),

100 კგ-ს ზევით: ნ. მოდებაძე (საქართველო), კ. ლიივა (ესტონეთი).

* * *

სხვა ქართველი მოჭიდავეების შედეგები ასეთია: 48 კგ-მდე — ტ. აბსავა — VII ადგილი, 52 კგ-მდე — ა. სულაქველიძე — IX, 57 კგ-მდე — რ. დობორჯგინიძე — IV, 62 კგ-მდე — ი. ლევაშვილი — XI, 68 კგ-მდე — გ. დგებუაძე — XIII, 74 კგ-მდე — ტ. როსტომაშვილი — IV, 82 კგ-მდე — რ. მარსაგიშვილი — VI, 90 კგ-მდე — ვ. მარშანია — XI.

სამი მსოფლიო რეკორდი ერთ საღამოს

ვილნიუსი, 8 ივლისი. საშუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში ერთ დღეს სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 28 წლის მინსკელმა ოფიცერმა ვ. შარიიმ. ჩასათვლელ ცდებზე მან ატაცში თანამიმდევრულად დაძლია 152,5, 157,5 და 162,5 კგ. შემდეგ მინსკელმა ათლეტმა 165,5 კგ მოითხოვა. სამი წუთის შემდეგ ეს წონაც დაძლეული იყო. საბჭოთა ძალოსან დ. რიგერტის მიერ წლეულს იანვარში ახალზელანდიაში დამყარებული რეკორდი ნახევარი კილოგრამით დამძიმდა. შემდეგ შარიიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკერასა (203,5 კგ) და ორჭიდში — 365 კგ. ასე ნაყოფიერად სასპარტაკიადო ფიცარნაგზე შარიიმდე არავის უასპარეზია.

სამწუხაროდ, კვლავ დაშავდა მოსკოველი ვ. რიჟენკოვი, რომელმაც ვერ შეძლო საწყისი წონის — 152,5 კილოგრამის დაძლევა.

ხვალ იასპარეზებენ ქვემძიმე წონის ძალოსნები, რომელთა შორის საყოველთაო ყურადღებას იქცევს მსოფლიოს 47 რეკორდის მფლობელი დ. რიგერტი.

ტექნიკური შედეგები

ვილნიუსი. 7 ივლისი. სპორტის სასახლე. ძალოსნობა.

ქვესაშუალო წონა. პრიზიორები ცალკეულ მოძრაობებში: ატაცი. 1. ვ. მიხაილოვი (უკრაინა) — 142,5 კგ, 2. ვ. სმირნოვი (ლენინგრადი) — 142,5, 3. ვ. ლისენკო (პირადი) — 142,5. აკვრა. 1. ა. გალკინი (უკრაინა) — 187,5, 2. მიხაილოვი — 185, 3. ვ. მილიტოსიანი (სომხეთი) — 185. ორჭიდი. 1. მიხაილოვი — 327,5 (142,5+185), 2. სმირნოვი — 325 (142,5+182,5), 3. მილიტოსიანი — 325 (140+185), 4. ი. შილკოვი (რსფსრ) — 325 (140+185), 5. ვ. კურენცოვი (პირადი) — 320 (137,5+182,5), 6. გალკინი — 320 (132,5+187,5), 7. ლისენკო — 315 (142,5+172,5), 8. ვ. ტონგუში (თურქმენეთი) — 312,5 (132,5+180).

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 9 ივლისი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო“ — 33 (რაგბი), 36 (სლალომი), 37 (სროლა), 38 (მშვილდოსნობა), 42 (ძალოსნობა), 45 (ფეხბურთი).

„სპორტლოტო-2“ — 15 (წყალბურთი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 22 (ციგურები), 24 (თხილამურები), 29 (საპარაშუტო სპორტი), 47 (ბურთიანი ჰოკეი).

საქდესი მოგვითხრობს

მენავთობე სპორტსმენებისთვის

მენავთობე მოცურავეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: ბაქოს ორჯონიკიძის რაიონში გაიხსნა ახალი საცურაო აუზი.

საქჩავი სადგური საზოგადოებრიობის ძალებით თავისუფალ დროს აგებულ ამ აუზს წყალს აწვდის კასპიის ზღვიდან. აუზს აქვს ერთი 50-მეტრიანი აბაზანა რვა ბილიკით, მეორე, უფრო ღრმა — წყალში ხტომისთვის.

როგორც საქდესის კორესპონდენტს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში უთხრეს, ამჟამად აზერბაიჯანის სპორტსმენთა განკარგულებაშია 11 აუზი, 34 სტადიონი, 750-ზე მეტი სპორტული დარბაზი, 10 ათასამდე საფეხბურთო მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი.

ბაქო.

შეჯიბრება მოტოორიენტირებაში

კალუგაში მოეწყო რამდენიმე ქალაქის გუნდების ტურნირი მოტოორიენტირებაში. მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ურალის, ვოლგისპირეთის, ბალტიისპირეთის მოტოციკლისტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტყიან ადგილებში, ცდილობდნენ რუკის დახმარებით, რაც შეიძლება სწრაფად მოეძებნათ საკონტროლო პუნქტები.

გაიმარჯვა რიგის გუნდმა, რომელსაც გადაეცა ავტო-მოტოტურისტთა ცენტრალური კლუბის გარდამავალი თასი. II ადგილი ხვდათ ქალაქ სუმის მოტოციკლისტებს, III — მოსკოველებს.

ნ. ალექსანდროვი.

კალუგა.

სიხოტე-ალინის ბილიკებით

შორეული აღმოსავლეთის ვ. ი. ლენინის სახელობის სამთო-მეტალურგიული, ზღვისპირეთის მხარის სამთო-ქიმიური და სამთო-გამამდიდრებელი კომბინატების მუშათა დიდი ჯგუფები შვებულების დღეებს ტაიგის გზებსა და სიხოტე-ალინის ბილიკებზე ატარებენ.

ზოგს იზიდავს ვრცელი პლაჟები იაპონიის ზღვის სანაპიროზე, სხვები ოჯახებით შლიან კარვებს მთის ტბებისა და მდინარეების ნაპირებზე, აწყობენ მიმზიდველ სეირნობას ნავებით.

პირველ საზაფხულო შეჯიბრებებს ატარებენ წყალქვეშ ცურვისა და მეკლდეურობის მოყვარულები.

ვ. კლიმენტიევი.

დალნოგორსკი,
ზღვისპირეთის მხარე.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

ზაფხულის თვეებში ტბებსა თუ წყალსაცავებს უამრავი ტურისტი და აქტიური დასვენების სხვა მოყვარული ეტანება. ამ სურათზე აღბეჭდილია მოსკოვის ოლქში მდებარე პესტოვის წყალსაცავის ერთი კუთხე.

საქდესის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ „შევარდენის" შესახებ

ვ. ი. ლენინი და კომუნისტური პარტია მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მშრომელთა ფიზიკურ აღზრდას, განიხილავდნენ მას, როგორც პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, როგორც სოციალისტური საზოგადოების შექმნისთვის ბრძოლის განუყოფელ ნაწილს.

პარტიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობამ ფიზიკური კულტურის განვითარების სფეროში უკვე მთელ რიგ შრომებში ჰპოვა ასახვა. მაგრამ ჩვენმა ისტორიულმა ლიტერატურამ ჯერ კიდევ ცოტა რამ შექმნა საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარების გზის დამუშავებისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთი ავტორი გამარტივებულად, ფაქტიურად უზუსტოდ გვიჩვენებს საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პირველ წლებში. მათს შრომებში არამარქსისტული პოზიციებიდან შუქდება სპორტული ორგანიზაციების საქმიანობა. კერძოდ, ეს ეხება საზოგადოება „შევარდენის" ორგანიზაციის მცდარ შეფასებას. დღევანდელი წერილის ავტორის მიზანია გააშუქოს საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ფიზიკური კულტურა, როგორც მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენა, არ არსებობდა, რამდენადაც მისაწვდომი არ იყო ხალხის ფართო მასებისთვის.

თებერვლის რევოლუციის პერიოდში თბილისში ჩამოყალიბდა „მეომართა საქართველოს საბჭო", რომელიც ქართული ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესების დამცველად გამოდიოდა. ამ კავშირთან ჩამოყალიბდა ტანვარჯიშული საზოგადოება „ამირანი", ძირითადად ოფიცრებისთვის. მისი ხელმძღვანელები „სოკოლის" ყოფილი წევრები იყვნენ, მაგრამ საზოგადოების წევრთა რიცხვი დიდი არ გახლდათ. მის შემადგენლობაში თითქმის არ შედიოდნენ ქართული არმიის ჯარისკაცები, მათი რევოლუციური განწყობილების გამო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პერიოდში საქართველოს ბოლშევიკებმა მთელი რიგი რთული მიზეზების გამო ვერ შეძლეს გამოეყენებინათ რევოლუციური სიტუაცია და ხელისუფლება მოეპოვებინათ. 1917 წლის 14 ნოემბერს შეიქმნა კონტრრევოლუციური ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელსაც დიდი დღე არ ეწერა. 1918 წლის 10 თებერვალს ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც მხოლოდ სამ თვეზე ცოტა მეტ ხანს გაძლო.

1918 წლის 26 მაისს სეიმმა ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. ჩვენში ძალაუფლება ხელთ იგდეს მენშევიკებმა, რომლებიც თავიანთი ბატონობის პირველივე დღეებიდან ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საქართველო საბჭოთა რუსეთისგან ჩამოეცილებინათ. საბჭოთა რუსეთს ცილს სწამებდნენ, თითქოს იგი ცდილობდა მოესპო ქართველი ხალხის სუვერენიტეტი. გ. ნიკოლაძის წინადადებით, სამხედრო-სპორტული საზოგადოება „ამირანი" რეორგანიზებულ იქნა.

1918 წლის 25 აგვისტოს თბილისში შეიქმნა ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი", რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ გიორგი და თამარ ნიკოლაძეები, გიორგი ეგნატაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში ზ. შერაზადიშვილი ამტკიცებს, თითქოს საქართველოს სპორტსმენები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მყისვე საბჭოთა პოზიციებზე დადგნენ[1]. ეს მტკიცება არ შეეფერება ისტორიულ სიმართლეს, ვინაიდან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა შეძლეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამგვარად, ქართველ სპორტსმენებს არ შეეძლოთ მაშინვე საბჭოთა პოზიციებზე დამდგარიყვნენ.

ზ. შერაზადიშვილი წერს, რომ „საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობის ფონზე „შევარდენი" უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო", რომ მის მიერ შექმნილი სისტემა იმ დროისთვის ჯანსაღად და მოწინავედ უნდა მივიჩნიოთ[2]. ავტორის ასეთ მტკიცებას საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში სპორტულ ორგანიზაციათა მოღვაწეობის გადაფასებამდე მივყავართ. ზ. შერაზადიშვილის წიგნი „ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში 1917-1921 წლებში" მოკლებულია კლასობრივ მიდგომას.

უნდა აღინიშნოს, რომ ახლახან გამოსული ა. ბოგოლიუბოვის წიგნი „გ. ნიკოლაძე" ასევე არ გვაძლევს „შევარდენის" ზუსტ და ყოველმხრივ დახასიათებას. ავტორი წერს, რომ „შევარდენი" მასობრივი სპორტული ორგანიზაცია იყო". ასეთი მტკიცება მოკლებულია საფუძველს და არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს.

მასობრიობა რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობის მონაწილეობას გულისხმობს. სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ „შევარდენი" უმეტესად ეროვნული პრინციპით შედგებოდა. მის შემადგენლობაში არაქართველი ჭაბუკებისა და ქალიშვილების რიცხვი უმნიშვნელო იყო.

ფიზიკური აღზრდა უმთავრესად თავად-აზნაურთა ფენის გაბატონებული კლასებიდან და ინტელიგენციიდან გამოსული მოსწავლე ახალგაზრდობის პრივილეგია იყო. ახალგაზრდა მუშებზე უმნიშვნელო პროცენტი მოდიოდა. „შევარდენი" 6700 წევრს აერთიანებდა და აქედან ხუთი პროცენტი იყო მშრომელთა ფენიდან. ამ საზოგადოებაში თითქმის არ იყვნენ გლეხობის წარმომადგენლები, ვინაიდან „შევარდენმა" სოფლამდე ვერ მიაღწია. შევარდენისტები ნაციონალისტური ფსიქოზის ატმოსფეროში იზრდებოდნენ, ადვილად განიცდიდნენ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას, ყალიბდებოდნენ იმ სოციალური წესების გავლენით, რომლებშიც ცხოვრობდნენ, და აღზრდის იმ სისტემით, რომელიც მათზე მოქმედებდა. საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში საზოგადოებრივი აღზრდის სისტემა გამოხატავდა პირველ ყოვლისა გაბატონებული კლასების — კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესებს. ამავე დროს, ინსტრუქტორების, მწვრთნელების, ფიზიკური კულტურის მუშაკთა საკმაოდ დიდ ნაწილს არ ესმოდა ფიზიკური აღზრდის კლასობრივი ხასიათი.

საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საერთო დონე დაბალი რჩებოდა: ფიზიკური აღზრდის სფეროში არ ვითარდებოდა მოწინავე თეორიული აზროვნება. სხვაგვარად ან კი როგორ იქნებოდა, როცა 1919 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს „შევარდენი" ითვლიდა მხოლოდ 15 საზოგადოებას, რომელთაგანაც 8 თბილისში იყო. „შევარდენის" ზოგიერთ საზოგადოებაში შექმნილი იყო მძლეოსნობისა და ძალოსნობის, ფეხბურთის, ფარიკაობის, ჩოგბურთის სექციები, მაგრამ ყველა ეს სექცია 200 კაცზე მეტს არ ითვლიდა. თვით თბილისში არსებობდა ერთადერთი, 1916 წელს აგებული სპორტული დარბაზი, 8 ტანვარჯიშული დარბაზი ღარიბი სპორტული ინვენტარით. არ იყო სპორტული ბაზები, საზაფხულო მოედნები, საცურაო აუზი. სოფლის სკოლებში ფიზიკური აღზრდა არ ისწავლებოდა, რადგან არ იყვნენ მასწავლებლები, არ იყო სპორტული ბაზები და აუცილებელი მოწყობილობა.

სამართლიანად წერდა პროფესორი მ. გორგაძე: „საქართველოს ტანვარჯიშულ მოძრაობაში წარსულთან შედარებით, მართალია, იგრძნობოდა გარკვეული ძვრები (მომეცადინეთა რიცხვის ზრდა, ტექნიკურ მიღწევათა დონის ამაღლება, მკაცრი დისციპლინა და ა. შ.), მაგრამ მენშევიკების ბატონობის პირობებში ტანვარჯიშმა განვითარება ვერ ჰპოვა საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებში და უმეტესად მოსწავლე ახალგაზრდობის პრივილეგიად რჩებოდა"[1].

საქართველოს განათლების სამინისტრო არ აქცევდა ყურადღებას ფიზიკური აღზრდის განვითარებას სასწავლებლებში.

თავის მოგონებებში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. ლორთქიფანიძე წერს: „ერთხანს „შევარდენი" სახალხო განათლების მენშევიკური სამინისტროს გამგებლობაში იყო. ერთხელ გიორგი ნიკოლაძე და გიორგი ეგნატაშვილი მინისტრის მოადგილესთან (ნოე ცინცაძესთან) იყვნენ და მას თავიანთი მოსაზრებები წარუდგინეს საქართველოს სხვადასხვა პუნქტში სპორტული ბაზების ორგანიზაციის შესახებ. მინისტრის მოადგილე ინტერესით შეხვდა ამ მოსაზრებებს, მაგრამ, როცა აუცილებელ ხარჯთაღრიცხვას გაეცნო, გ. ნიკოლაძის სიტყვით, „ცუდად გახდა".

გასაკვირველია, დასახულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე უარი თქვეს, რადგან სახალხო განათლების სამინისტროს საჭირო თანხები არ აღმოაჩნდა"[1].

თუმცა მენშევიკები „შევარდენის" კავშირის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, მენშევიკური პარტია მაინც ახერხებდა მისთვის თავს მოეხვია ანტიმარქსისტული იდეები და განწყობილებები. ამან გამოხატულება ჰპოვა საზოგადოება „შევარდენის" დებულებაშიც. მენშევიკური მთავრობა „შევარდენის" ორგანიზაციაში ხედავდა მხოლოდ თავისი არმიის რეზერვებს. იგი ცდილობდა ეს საზოგადოება წვევამდელთა ასაკის ახალგაზრდობის მოსამზადებლად გამოეყენებინა.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის პირობებში „შევარდენის" წევრებმა, რომლებსაც ჯერ არ გაევლოთ კლასობრივი ბრძოლის სკოლა, ვერ გაერკვეულიყვნენ ანტაგონისტური კლასების შეურიგებელ წინააღმდეგობებში, ბევრი რამ არ იცოდნენ, ბევრი რამ არ ესმოდათ, რადგან არ ჰქონდათ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, სოციალისტური რწმენა. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ ვერ შეძლო ქართველ სპორტსმენთა უმრავლესობა დაეყენებინა კონტრრევოლუციის გზაზე. საზოგადოება „შევარდენის" ხელმძღვანელები, მწვრთნელები გ. და თ. ნიკოლაძეები, გ. ეგნატაშვილი, ი. ალანიაშვილი, ი. ლორთქიფანიძე და სხვები თავისუფალი იყვნენ კონტრრევოლუციური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულებებისგან.

პროფესორი გ. ჟვანია წერს: „...1918 წლის მაისში ეგრეთ წოდებული დემოკრატიული რესპუბლიკა თავდაპირველად რაღაც მხარდაჭერითა და სიმპათიით სარგებლობდა საქართველოს მშრომელებში. მასში ისინი ხედავდნენ თავიანთი ნაციონალური სახელმწიფოს იდეის განხორციელებას..."[2].

პროფესორი მ. ცერცვაძე თავის წიგნში „ქართველ მენშევიკთა იდეური და ორგანიზაციული პრინციპების ლოგიკური დასასრული", მე-16 გვერდზე წერს: „მენშევიკური პარტიის ყველა წევრმა როდი შეძლო დროულად ჩასწვდომოდა მენშევიკური ხელმძღვანელობის არსს. პარტიის რიგით წევრებს არ ესმოდათ, რომ მენშევიზმის ხელმძღვანელებს ისინი შეცდომაში შეჰყავდათ. მათ არ შეეძლოთ დაეჯერებინათ გამცემლობა, ფიქრობდნენ, რომ ეს უკანასკნელნი მხოლოდ დაბნეული იყვნენ და დროთა განმავლობაში თვითონვე დარწმუნდებოდნენ თავიანთ შეცდომებში". ეს ნიშნავს, რომ იმ დროს იყო ბევრი მუშა, მენშევიკური პარტიის წევრი, რომლებსაც სჯეროდათ თავიანთი „ბელადებისა", სწამდათ თავიანთი მცდარი პროგრამისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი მენშევიკები ცილს სწამებდნენ კომუნისტებს, დაუღალავად ამტკიცებდნენ, ბოლშევიკები ჯაშუშობას ეწევიან საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდო. გაზეთების „ერთობის", „ბრძოლის", „საქართველოს" ფურცლებზე მენშევიზმის იდეოლოგები კომუნისტებს ყველაზე მუქ ფერებში ხატავდნენ, ამბობდნენ, ბოლშევიკები სამშობლოს წინააღმდეგი არიან, კოსმოპოლიტები არიან, მშობლიური ენის, მშობლიური ლიტერატურის მოსპობას ქადაგებენო. წითელ არმიას ინტერვენტების არმიას ეძახდნენ. მოსახლეობა შეშინებული იყო. ბუნებრივია, დაშინებული იყვნენ ბავშვებიც.

იგონებს რა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ თბილისში არსებულ ვითარებას, თადარიგის გენერალ-მაიორი ი. ბაბალაშვილი წერს: „... ბევრი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მალე მოვლენ ბოლშევიკები და წითელი არმია, რომ ისინი ყველაფერს წაიღებენ, ყველაფერს საერთო ქონებად აქცევენ. ქალაქის მოსახლეობა აღელვებულია. ზოგიერთს დაბნეულობის გამო ან მენშევიკური პროპაგანდის გავლენით ეშინია მომავლისა. ისინი ერთმანეთს ეკითხებიან, ნეტავ რა მოგველის?"[3].

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მე-11 წითელი არმიის დახმარებით საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი გაოგნებული და ღრმად შეძრული იყო რევოლუციით. ერთბაშად გათავისუფლება მენშევიზმის იდეისგან მის ძალას აღემატებოდა. მას არ შეეძლო სწრაფად გარკვეულიყო მიმდინარე მოვლენებში.

ვ. მდივანი წერს, რომ უფროსი თაობის შევარდენისტები 1921 წლის თებერვალში იარაღით ხელში მზად იყვნენ წითელი არმიისგან დაეცვათ მენშევიკური წყობა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მათ თავიანთი ჟურნალის „შევარდენის" ფურცლებზე გამოაქვეყნეს ფოტოსურათები და ნეკროლოგი, რომელთა შინაარსიც აშკარად მეტყველებდა, რომ შევარდენისტები ახალი წყობის მიმართ ლოიალობას არ იჩენდნენ. რა არის იმაში, საოცარი, თუ „შევარდენის" ზოგიერთი წევრი მენშევიკური არმიის ნაწილებთან ერთად წითელი არმიის წინააღმდეგ გამოდიოდა ძველი რეჟიმის დასაცავად? რაღაც ნაწილი, მართალია, მცირე, ხომ სწორედ ქართველი მენშევიკების გავლენის ქვეშ იყო. საჭიროა თუ არა ეს ფაქტი „შევარდენის" ყველა წევრზე გავავრცელოთ? ნეკროლოგი კი სამ შევარდენისტს ეძღვნებოდა — პოეტ მაყაშვილის ასულ მაროს, პროფესორ გეხტმანის ვაჟს გაბრიელს და ირაკლი თოიძეს.

ვ. მდივანი იხსენებს, 1921 წლის თებერვალში შევარდენისტებიდან ვინ გამოდიოდა მე-11 წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ და „დავიწყებია" ის თუ საზოგადოება „შევარდენის" წევრებიდან უკვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვინ შევიდა ნებაყოფლობით წითელი არმიის რიგებში.

ცნობილია, მაგალითად, რომ 18 წლის ტანმოვარჯიშე ევგენი მიქელაძე ხუთ წელიწადს 1-ლი ქართული პოლკის მუსიკალურ რაზმში იყო უფროს მუსიკოსად. შემდეგ იგი გამოჩენილი დირიჟორი გახდა. ე. მიქელაძე ქართველი ხალხის სახელოვანი შვილია, საბჭოთა კულტურის სიამაყე. „შევარდენმა" საქართველოს ბევრი ასეთი გამოჩენილი მოღვაწე მისცა.

ვ. ი. ლენინი 1921 წლის 2 მარტს სერგო ორჯონიკიძისადმი მიწერილ წერილში წერდა: „აუცილებელია განსაკუთრებული პოლიტიკა საქართველოს ინტელიგენციის მიმართ"[1].

ინტელიგენციის მიზიდვის ძირითად და ყველაზე ეფექტურ მეთოდად ლენინმა და კომუნისტურმა პარტიამ აირჩიეს მისი სოციალისტური აღზრდა, მასში სოციალიზმისადმი ურწმუნობის დაძლევა. საჭირო იყო ინტელიგენციის მოთმინებით და შეუპოვრად გაძღოლა, დახმარება მსოფლმხედველობის გადასინჯვაში, მუშათა კლასის ძალის მიმართ ურწმუნობის გადალახვა. პარტია არ მოითხოვდა, რომ ინტელიგენტებს დაუყოვნებლივ უარი ეთქვათ თავიანთ შეხედულებებზე. ხელმძღვანელობდნენ რა ლენინური მითითებებით, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ცდილობდნენ განეხორციელებინათ ფრთხილი პოლიტიკა ადგილობრივი ინტელიგენციის, მათ შორის სპორტული ინტელიგენციის მიმართ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფიზიკური კულტურა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების გამუდმებული ზრუნვის საგნად იქცა. საძირკველი ჩაეყარა ფიზიკური კულტურის დანერგვას მუშა და გლეხ ახალგაზრდობაში, მშრომელთა ფართო მასებში.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებში წითელი არმიის ერთ-ერთი ნაწილის სარდლობამ მოახდინა „შევარდენის" შენობის ნაციონალიზება და კონფისკაცია უყო საზოგადოების ინვენტარს. მაშინ ი. ლორთქიფანიძემ დახმარებისთვის საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს შ. ორახელაშვილს მიმართა. ამ უკანასკნელმა მხარი დაუჭირა „შევარდენის" წარმომადგენლის თხოვნას და სერგო ორჯონიკიძეს მისწერა წერილი, რომელშიც სთხოვდა დახმარება აღმოეჩინა „შევარდენისთვის".

სერგო ორჯონიკიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას, როგორც ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გაკაჟების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. მან სამხედრო ნაწილის მეთაურს, რომელმაც „შევარდენის" შენობა დაიკავა, უბრძანა ეს შენობა სპორტული ინვენტარითვე დაებრუნებინა სპორტსაზოგადოებისთვის.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, თავიანთ ერთგულ თანაშემწეზე — ლენინურ კომკავშირზე დაყრდნობით სათავეში ჩაუდგნენ სპორტში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლას, გაშალეს მუშაობა ფიზიკური კულტურის როგორც ქართველი ხალხის საერთო კულტურის ნაწილის, ჩამოყალიბებისა და შემდგომი აყვავებისთვის. ხელმძღვანელობდა რა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის მარტში სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატთან (სახალხო კომისარი შ. ელიავა) „ვსეობუჩი" შექმნა. სპორტულ-ტექნიკურ განყოფილებას სათავეში ჩაუდგა გ. ეგნატაშვილი.

„ვსეობუჩის" ორგანოების ჩამოყალიბებასა და მუშაობის მოწესრიგებაში უდიდესი როლი ითამაშეს ს. ორჯონიკიძემ, მ. ორახელაშვილმა, ლ. ქართველიშვილმა, მ. კახიანმა, ბ. ლომინაძემ, ბ. ძნელაძემ, გ. დევდარიანმა და სხვ.

ფართოდ გაშალეს სამხედრო-სპორტული მუშაობა საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირელთა დიდი ნაწილი „ვსეობუჩში" ჩაება. ამავე დროს, საქართველოში ისევ განაგრძობდა მუშაობას სპორტული ორგანიზაცია „შევარდენი".

კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაში გამოაშკარავდა, რომ ბურჟუაზიასთან იდეოლოგიური კავშირი ჰქონდათ ისეთი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, როგორიც იყვნენ „სოკოლი" და „სკაუტი"[1]. ველიკოდერჟავული შოვინიზმის, საბჭოთა რუსეთისადმი ზიზღის სულისკვეთებით აღზრდილი ეს ორგანიზაციები ებრძოდნენ კომკავშირს და მოწინავე რევოლუციურ ახალგაზრდობას. სამოქალაქო ომის წლებში სკაუტები და „სოკოლის" წევრები აქტიურად უჭერდნენ მხარს საბჭოთა რესპუბლიკის მტრებს.

არ შეიძლება საზოგადოება „შევარდენისა" და „სკაუტის" გაიგივება; არ შეიძლება „შევარდენის" წევრთა უმრავლესობა ხელაღებით ჩავრიცხოთ კონტრრევოლუციის ბანაკში, ვინაიდან მათი ასაკი 12-დან 16 წლამდე იყო. არც იმის გამო შეიძლება განგაში ავტეხოთ, რომ ისინი ზოგჯერ ლოიალობის ჩარჩოებს სცილდებოდნენ.

ვლადიმერ მდივანს „შევარდენის" როლის შეფასებაში არათანამიმდევრული და წინააღმდეგობრივი პოზიცია უკავია. 1974 წლის 27 დეკემბერს გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე იგი წერდა: „ეჭვი არ არის, რომ „შევარდენმა" დადებითი როლი ითამაშა, როცა სათავე დაუდო ფიზკულტურულ მოძრაობას საქართველოში..." წლეულს, 25 მაისს, ამავე გაზეთში დაბეჭდილ სტატიაში „კიდევ ერთხელ „შევარდენის" შესახებ" ვ. მდივანი წერს: „სოკოლიც" და კიდევ უფრო მეტად ჩვენს რესპუბლიკაში „შევარდენიც" წმინდა სპორტული თვალსაზრისით კეთილ სიტყვებს იმსახურებდა, თავის დროზე მნიშვნელოვანი როლიც შეასრულეს ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში..."

მ. აგაჯანოვი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

(გაგრძელება იქნება)

---

[1] ზ. შერაზადიშვილი. „ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში (1801-1917 წ.წ.)". პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის საძიებელი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი. 1972 წ. გვ. 49.

[2] ზ. შერაზადიშვილი. „ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში". თბილისი. 1971 წ. გვ. 61.

[1] მ. გორგაძე. „ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან". თბილისი. 1959 წ. გვ. 122.

[1] ეს მოგონებები მოგვაწოდა ავტორმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[2] გ. ჟვანია, „დიდი ოქტომბერი და ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისთვის". თბილისი. 1967 წ., გვ. 267.

[3] ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზია" № 4. 1967 წ. გვ. 76.

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. 42, გვ. 367.

[1] იგულისხმება რუსული „სოკოლი".

იუბილეს მიეძღვნა

დამთავრდა „მთავართბილმშენის" № 14 ტრესტის XI საიუბილეო სპარტაკიადა, რომელიც ამ ტრესტის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და ფაშისტურ გერმანიასთან ომში გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა. სპარტაკიადის პროგრამაში 8 სახეობა იყო. სარბიელზე გამოვიდა ტრესტის 10 გუნდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი ბრძოლები გაჩაღდა № 3 სამშენებლო სამმართველოს, რკინაბეტონის კომბინატის, ტრესტის აპარატის, მომარაგებისა და დაკომპლექტების სამმართველოს გუნდებს შორის.

საბოლოოდ გუნდური I ადგილი დაიკავა რკინა-ბეტონის კომბინატის ნაკრებმა. II ადგილზე არიან № 3 სამშენებლო სამმართველოს სპორტსმენები, III — მომარაგებისა და დაკომპლექტების სამმართველოს კოლექტივი.

სპარტაკიადაში თავი გამოიჩინეს: რკინა-ბეტონის კომბინატიდან საქალაქო საბჭოს დეპუტატმა, მუშა ნ. დალაქიშვილმა და ვ. კეჟერაძემ, მესამე სამმართველოდან — ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჩაჩანიძემ, მომარაგებისა და დაკომპლექტების სამმართველოდან — ზ. გუგუხიამ და თ. ქელიძემ.

თ. ნონიკაშვილი,
მე-14 ტრესტის ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ შეიტანა რამდენიმე ცვლილება საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში.

მოსკოვის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“ 16 ივლისის ნაცვლად ითამაშებენ მოგვიანებით, იმ დღეს კი გაიმართება მატჩი „სპარტაკსა“ და „ლოკომოტივს“ შორის, რომელიც 26 ივლისს უნდა შემდგარიყო. ეს გამოწვეულია სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის მზადებით ისლანდიის ნაკრებთან შესარჩევი მატჩისთვის.

27 ივლისს დანიშნული მატჩი ვოროშილოვგრადის „ზარიასა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის შედგება 26 ივლისს, ხოლო ტაშკენტის „ფახთაქორი“ და ოდესის „ჩერნომორეცი“ მოგვიანებით ითამაშებენ.

საბჭოთა გუნდების მეტოქეები

უეფა-ს შტაბ-ბინაში შვეიცარიის ქალაქ ციურიხში მოეწყო ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის წილისყრა.

კიევის დინამოელები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში 17 სექტემბერს საბერძნეთის ქალაქ პირეოში შეხვდებიან ამ ქვეყნის ჩემპიონს „ოლიმპიაკოსს“, ხოლო 1 ოქტომბერს შინ მიიღებენ მეტოქეს.

სსრ კავშირის თასის მფლობელი, რომელიც 9 აგვისტოს გამოვლინდება, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში შინ მიიღებს კვიპროსის „ანორთოსს“.

უეფა-ს თასის გათამაშების მონაწილე მოსკოვის გუნდები „სპარტაკი“ და „ტორპედო“, აგრეთვე, ოდესის „ჩერნომორეცი“ თავიანთ პირველ შეხვედრებს სტუმრად ჩაატარებენ. სპარტაკელები შვეციაში შეხვდებიან სტოკჰოლმის აიკ-ს, ტორპედოელები ნეაპოლში — „ნაპოლის“, ხოლო „ჩერნომორეცი“ რომში — „ლაციოს“. სათამაშო დღეები ამ ტურნირებშიც იგივეა, რაც ჩემპიონთა თასისთვის შეჯიბრებაში.

გაიმარჯვეს ლაითურელებმა

მახარაძე, 9 ივლისი. (ტელეფონით). საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ფინალური ტურნირი ნორჩ ფეხბურთელთა შორის (1961-62 წლებში დაბადებულნი) „ოქროს თავთავის“ პრიზზე.

საასპარეზოდ ჩამოვიდნენ ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული აფხაზეთის, აჭარის, აბაშის, თელავის, ბორჯომის გუნდები, რომლებსაც შეუერთდნენ მასპინძლებიც. გათამაშება წრიული სისტემით მიმდინარეობდა.

კარგად ითამაშეს მასპინძლებმა — ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელებმა, რომლებმაც სძლიეს ყველა მეტოქეებს, დაიკავეს I ადგილი და მასთან ერთად საპატიო თასიც მოიპოვეს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან თელავისა და აბაშის გუნდები.

ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო მახარაძელთა სანაქებო მასპინძლობამ. კერძოდ, აჭაური სტადიონის დირექტორმა ჯ. გოგატიძემ ყველაფერი გააკეთა, რათა ნორჩ სპორტსმენებს ხელსაყრელი პირობები ჰქონოდათ სათამაშოდ.

გ. აკობაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი,

მ. ზავიძვილი.
(ჩვენი კორ.).

I ლიგა

ტორპედოელები პოზიციებს იმაგრებენ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 ივლისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:1 (2:1).

„ტორპედო“: გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე (ზურკაძე), ფარულავა (ფიფია), ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ქვირია, შელია, შენგელია, ხერხაძე, გაბიჩვაძე.

„შინიკი“: პონომარენკო (ჩურკინი), დიმიტრიადი, შაფრანსკი, მირონოვი, კლიმოვი, გავრილოვი, პანტელეევი, ნ. სმირნოვი, შელუდკო, ა. სმირნოვი, ფროლოვი.

მსაჯი ა. ბუროვი (ლენინგრადი).

ტორპედოელთა საიმედო სატურნირო მდგომარეობა ცნობილია ფეხბურთის მოყვარულთათვის. ბოლო ხანებში გუნდის მდგომარეობა სერიოზულად გაუმჯობესდა და მისი განმტკიცება საჭირო იყო სწორედ „შინიკთან“ შეხვედრაში, ვინაიდან ეს კოლექტივი მხოლოდ ქულით ჩამორჩებოდა მასპინძლებს და, ამდენად, მათ უშუალო მეტოქეს წარმოადგენდა.

უნდა ითქვას, რომ „შინიკმა“ გაბედულად, გაშლილი ფრონტით დაიწყო თამაში, უკვე მე-3 წუთზე ნ. სმირნოვმა ააცდინა მიზანს დარტყმა, შემდეგ ასევე მოუვიდა გავრილოვს, მე-9 წუთზე კი გაბელიას მოუხდა ძნელი ბურთის აღება ფროლოვისგან. ასეთ რთულ ვითარებაში განახორციელეს ტორპედოელებმა თავიანთი პირველი კონტრიერიში და იგი წარმატებით დაგვირგვინდა: მე-10 წუთზე შენგელია პირისპირ აღმოჩნდა კარიდან გამოსულ პონომარენკოსთან. თავდამსხმელმა ოსტატურად გადაუგდო ბურთი მეკარეს თავს ზემოთ — 1:0.

27-ე წუთზე „შინიკის“ მცველებმა შეცდომა დაუშვეს, ეს კარგად გამოიყენა ხერხაძემ, კარიდან გამოიტყუა პონომარენკო და სტუმრებს მეორედ მოუხდათ თამაშის ცენტრიდან დაწყება.

ეს ანგარიში თითქოს, საკმარისი გარანტია იყო მატჩის ბედის გადასაწყვეტად, მაგრამ სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ მარცხს, მთელი შესაძლებლობა გამოიყენეს და ტაიმის დასასრულამდე საპასუხო გოლიც გაიტანეს: ნ. სმირნოვის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა ტორპედოელთა ერთ-ერთ მცველს და ბადეში აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, თუმცა ქუთაისელთა უპირატესობა მაინც შესამჩნევი იყო. 63-ე წუთზე გაბიჩვაძე — ხერხაძის კომბინაცია დამთავრდა ზუსტი, ძლიერი დარტყმით — 3:1.

მატჩის დასასრულამდე ორივე მხარეს არაერთხელ ჰქონდა ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა. კერძოდ, ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი შესაძლებლობანი შენგელიამ, შელიამ, ხერხაძემ, სახიფათო მომენტები შექმნეს იაროსლაველმა ფეხბურთელებმაც და ერთ-ერთ ასეთ მომენტში ჭოხონელიძეს ზედ კარის ხაზიდან მოუხდა ბურთის გამოტანა.

ქუთაისის „ტორპედომ“ მორიგი გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში და ძნელი მატჩებისთვის, რომლებიც მას პირველი წრის დამთავრებამდე ელის მინსკსა და ზაპოროჟიეში, მყარი მდგომარეობა აქვს ლიდერთა შორის.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ალგა“ (ფრუნზე) 3:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (მინსკი) 0:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:1, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ზვეზდა“ (პერმი) 3:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:1, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	17	9	5	3	23—9	23
„ტავრია“	17	9	5	3	29—17	23
„ტორპედო“	17	8	6	3	23—12	22
„ნისტრუ“	17	9	4	4	17—17	22
„ქაირათი“	17	9	3	5	28—15	21
„ნეფთჩი“	18	9	3	6	23—16	21
„სპარტ.“ ი.-ფ.	17	7	6	4	24—16	20
„სპარტ.“ ორ.	17	8	4	5	19—13	20
„კრ. სოვეტ.“	17	8	4	5	24—19	20
„შინიკი“	17	6	7	4	22—19	19
„მეტალურგი“	17	6	5	6	20—16	17
„პამირი“	18	5	7	6	20—19	17
„მეტალისტი“	17	6	5	6	16—15	17
„ყუბანი“	17	4	6	7	16—22	14
„რუბინი“	17	4	6	7	15—26	14
„სპარტ.“ ნ.	17	3	7	7	12—17	13
„კუზბასი“	17	4	5	8	15—23	13
„ზვეზდა“	17	5	3	9	12—20	13
„ურალმაში“	17	3	2	12	12—29	8
„ალგა“	17	1	3	13	7—34	5

II ლიგა I ზონა

8 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

„დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:2

გორელ ფეხბურთელთა მატჩების სარეცენზიო ანგარიშებში ჩვენ უკვე ვწერდით, რომ შარშანდელთან შედარებით მათ საგრძნობლად მოუკლეს თამაშს, გააუარესეს საერთო მაჩვენებლები და, ამას გარდა, არც დისციპლინის საკითხი დგას კოლექტივში სათანადო დონეზე. „დილის“ მოთამაშეები უფლებას აძლევენ საკუთარ თავს ზედმეტად ატარონ ბურთი, დაარღვიონ კოლექტიური მოქმედების გეგმა და ა. შ. გუნდის დაბალ ბრძოლისუნარიანობაზე ისიც ნათლად მეტყველებს, რომ მან სტუმრად ჩატარებულ რვა შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულა აიღო. ეს მაშინ, როცა აქ გამოდიან გამოცდილი, ძლიერი ფეხბურთელები, რომლებიც ასე პასიურად არ უნდა თამაშობდნენ მეტოქის მინდვრებზე.

აღნიშნულ შეხვედრაში „დილას“ ქულები ჰაერივით სჭირდებოდა და მან თითქოს შეტევითაც დაიწყო თამაში, მაგრამ საკმარისი გახდა სტუმრები კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ, რომ გაგუამ ზუსტი დარტყმით გაიტანა ბურთი გორელთა კარში.

შემდგომ მასპინძლებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, „მეტალურგის“ კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა და აქაც მოხდა ისე, რომ მეტალურგებს მეორედ მიეცათ კარის აღების შესაძლებლობა: 32-ე წუთზე „დილის“ მხარეს დაინიშნა პენალტი, რომელიც ვერ გამოიყენა „მეტალურგის“ კაპიტანმა ჭეიშვილმა. ბურთი მეკარე ბერიძემ აიღო.

შესვენების შემდეგ თამაში ძლიერ წვიმაში მიმდინარეობდა, თუმცა ტემპი კვლავინდებურად მაღალი იყო. მე-60 წუთზე ბერიკაშვილმა თავისი რეიდი უძლიერესი დარტყმით დაამთავრა — 1:1, მაგრამ გავიდა სამიოდე წუთი და მასპინძლებს კვლავ მოუხდათ მატჩის ხსნაზე ფიქრი: ხმალაძემ მათ კარში მეორე ბურთი გაიტანა.

75-ე წუთზე გორელთა ერთ-ერთი იერიშისას კარგად ითამაშა მაზიაშვილმა და ანგარიში გაათანაბრა.

ი. თევდორაშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
გორი.

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ფახთაჩი“ (გულისტანი) 1:0, „ხანკი“ (იანგიარიკი) — „ჯიზაკი“ (ჯიზაკი) 2:0, „იანგიერი“ (იანგიერი) — „ავტომობილისტი“ (თერმეზი) 3:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:2, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „მერცხალი“ (მახარაძე) — 3:0, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“	15	8	2	5	35—24	18
„დინამო“ ბ.	14	6	5	3	23—14	17
„ნეფტიანიკი“	13	7	3	3	22—14	17
„მეტალურგი“	16	6	5	5	19—19	17
„ჯიზაკი“	15	8	1	6	18—18	17
„იანგიერი“	14	6	4	4	21—13	16
„ლოკომ.“	14	6	4	4	19—13	16
„ფახთაჩი“	15	6	4	5	15—18	16
„დილა“	15	7	2	6	19—24	16
„სტროიტელი“	14	5	4	5	23—13	14
„ავტომობ.“	15	6	2	7	23—26	14
„პროგრესი“	14	5	3	6	19—20	13
„ხანკი“	13	3	7	3	16—18	13
„მერცხალი“	14	4	5	5	11—19	13
„დინამო“ ზ.	13	4	4	5	18—21	12
„ხაზარი“	13	3	3	7	14—18	9
„შირაკი“	12	3	2	7	14—24	8
ფიზკ. ინსტ.	13	2	2	9	4—18	6

საქართველოს ჩემპიონატი

ჩვენს სტადიონებზე სანიმუშო წესრიგი უნდა იყოს

სასტიკი ბრძოლა — ხულიგნებს!

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 3:2. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

ცხაკაიელთაგან ბურთები გაიტანეს ნიკოლაიშვილმა, ქირიამ და ჯოჯუამ, ხოლო სტუმართაგან — ნოზაძემ.

● „ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მეტალურგებმა კარგად ითამაშეს პირველ ტაიმში და 25-ე წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს (ცინცაძე). შემდგომ მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ დააღწიეს თავი დამარცხებას.

● პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

რამდენადმე მაინც შესამჩნევი უპირატესობა სტუდენტებს არ ჰქონიათ, მაგრამ შეტევის დასასრულს უფრო ზუსტად მოქმედებდნენ და გამარჯვებაც მათ დარჩათ. ორივე ბურთი მახარაძემ გაიტანა.

● „ფარძია“ (ასპინძა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

● „იმერეთი“ (წულუკიძე) — „კოლხეთი“ (ხობი) 8:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

მასპინძელთა ტერიტორიულ უპირატესობას მე-16 წუთზე ანდრიაძის გოლი მოჰყვა. ტაიმის დამთავრებამდე სანოძემ და იმავე ანდრიაძემ კიდევ 2 ბურთი გაიტანეს.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

მარტინენკოს და ქერდიკაშვილის ორ გოლს ტაიმის დასასრულს ოჩამჩირელმა ლოგუამ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით უპასუხა. მეორე ტაიმში გამეორდა იგივე ამბავი: ქერდიკაშვილმა და ნოზაძემ კიდევ 2 ბურთი გაიტანეს, ხოლო გუბარმა მატჩის დასასრულს შეამცირა განსხვავება ანგარიშში.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:3. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

მეზობელი რაიონების გუნდების შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მაყურებლის მოლოდინიც არ გამტყუნებულა. თამაში მიმდინარეობდა სწრაფად, დაძაბულად. ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. ცხაკაიელი ჯოჯუას მიერ მე-15 წუთზე გატანილი ბურთი მალე გაქვითა გაგუამ, მაგრამ შესვენების შემდეგ „სალხინომ“ მტკიცედ აიღო ხელთ უპირატესობა, რასაც გაგუას და ოდიშარიას 2 ბურთი მოჰყვა.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:0. მსაჯი ლ. ჯიხაძე (ხაშური).

მაღაროელ ფეხბურთელებს უდავო უპირატესობა ჰქონდათ თამაშის ორივე ნახევარში. ბურთები გაიტანეს მაღრაძემ (2), ქორიძემ და გლინიანოვმა.

● „კოლხეთი“ (ფოთი) — „განთიადი“ (თბილისი) 4:0. მსაჯი ლ. ჭოხაძე (ხაშური).

მაღანის (2), პანაიოტისა და რურუას მიერ გატანილ ბურთებს თბილისელებმა ვერაფრით უპასუხეს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	19	14	4	1	43—23	32
„მაღაროელი“	18	14	3	1	47—7	31
„სალხინო“	20	10	6	4	30—17	26
პოლ. ინსტ.	19	11	3	5	46—23	25
„იმერეთი“	20	10	5	5	26—19	25
ფიზკ. ინსტ.	20	9	6	5	32—23	24
„ქართლი“	20	8	7	5	34—31	23
„შუქურა“	20	5	11	4	22—24	21
უნივერსიტ.	15	8	4	3	23—15	20
„კოლ.“ (ფ.)	19	9	2	8	24—20	20
„ამირანი“	19	7	6	6	16—22	20
„ივერია“	20	6	7	7	17—15	19
„დურუჯი“	19	6	6	7	17—24	18
„კახეთი“	19	7	3	9	24—18	17
„მეშახტე“	19	6	4	9	27—29	16
„ეგრისი“	20	5	6	9	24—36	16
ასკ (თბ.)	19	6	3	10	29—30	15
„მეტალურგი“	20	6	3	11	19—29	15
„განთიადი“	20	5	5	10	18—28	15
„კოლ.“ (ხ.)	20	3	5	12	17—42	11
„ლოკომ.“	19	3	4	12	10—35	10
„ფარძია“	20	0	5	15	13—47	5

II ჯგუფი

I ზონა

„ცისკარი“ (ხილნალი) — „არაგვი“ (მცხეთა) 0:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „განთიადი“ (კასპი) 0:2, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 10:0, „განახლება“ (ადიგენი) — „ჩამომხხმელი“ (ბორჯომი) 0:0, „სამცხე“ (ახალციხე) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 2:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:0. ქარელის „ყინწვისს“ გამარჯვება ჩაეთვალა ახმეტის „ქიმიკოსთან“.

II ზონა

„მეჯალალდე“ (ზუგდიდი) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 4:1, „დინამო“ (ქუთაისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:2, „მშენებელი“ (ჭიათურა) — საკ დამშუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 0:0, „მზიური“ (გალი) — „მშენებელი“ (ბათუმი) 1:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 1:1, „სულთორი“ (ვანი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:2.

საჯარიმო დაფიდან

განვლილი კვირის მატჩებში ხულიგნური საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს სამი ფეხბურთელი: ვ. ტრომინი (ოჩამჩირის „ამირანი“), ლ. თურმანაული (დუშეთის „არაგვი“) და თ. ჯავახიშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

მესამე გაფრთხილება მიიღო ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელმა გ. ხანაძემ, მეორე — ჯ. ქარელიშვილმა (ბორჯომის „ჩამომსხმელი“) და დ. ნიკონოვმა (წალენჯიხის „კოლმეურნე“).

მათს გარდა გაფრთხილებული არიან: ს. ლაზარევი (ბორჯომის „ჩამომსხმელი“), ბ. მერმანიშვილი (ჭიათურის „მაღაროელი“), ზ. რევაზიშვილი (გორის რაიონის „ქართლი“), ა. სარქისიანი (თბილისის „განთიადი“), თ. ქირია (ცხაკაიას „ეგრისი“), პ. გვახალია (გეგეჭკორის „სალხინო“), ა. ციმაკურიძე (საჩხერის „ჩიხურა“), ი. ბექაური (კასპის „განთიადი“), ბ. სამარგველიანი (ლაგოდეხის „ჰერეთი“), ა. ხვორცოვი (წყალტუბოს „სამგურალი“), ვ. მაგგულიძე (თერჯოლის „ენერგეტიკოსი“).

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ ხაშურის სტადიონზე მომხდარი უწესრიგობანი. მაყურებელთა ნაწილი თამაშის პროცესში ქვებს ესროდა გვერდითს მსაჯებს, ხოლო მატჩის შემდეგ მსაჯთა ოთახში ხულიგნებმა ატეხეს სკანდალი. თუ ხაშურის სტადიონზე წესრიგი არ დამყარდა, იგი დისკვალიფიცირებული იქნება.

სულ ის 2 წამი...

TOUR de FRANCE 62eme

სტარტი აიღო 62-ე „ტურ დე ფრანსმა" — მსოფლიოს პროფესიონალ ველოსიპედისტთა უმნიშვნელოვანესმა შეჯიბრებამ. წლევანდელ ასპარეზობაში 12 სახელმწიფოს 140 მრბოლელი მონაწილეობს. მათ შორის, ცხადია, არის „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის ჩემპიონი, ბელგიელი ედი მერქსი, რომელიც ყოველ ღონეს იხმარს მსოფლიო რეკორდის დასამხობად. მსოფლიო რეკორდი კი — 5-5 გამარჯვება „ტურ დე ფრანსში" — მას და ლეგენდარულ ფრანგ ველოსიპედისტს ჟაკ ანკეტილს ეკუთვნით.

ასპარეზობა ბელგიის გზებზე დაიწყო, მანამდე კი ტურის მონაწილეებმა შარლერუაში საჩვენებელი შეჯიბრება მოაწყვეს. რთული ტრასა (6,250 კმ) ყველაზე სწრაფად იტალიელმა ფრანჩესკო მოზერმა განვლო — 8.49,83. ამ გამარჯვებით მან თავისებური განაცხადი გააკეთა „ტურ დე ფრანსში" წარმატებისთვის. II ადგილზე გასული მერქსი მოზერს 2 წამით ჩამორჩა.

მეორე დღეს შარლერუაში სტარტი აიღო I ეტაპმა, რომელიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველი ნაწილი (შარლერუა — მოლენბეკი, 94 კმ) მოიგო ჰოლანდიელმა კეეს პრიემმა — 2:09.27. ასეთივე დროით ფინიშთან კიდევ რვა მრბოლელი მიიჭრა, რომელთა შორის საუკეთესომ — მერქსმა II ადგილი დაიკავა.

ეტაპის მეორე ნაწილზე (მოლენბეკი — რუბე, 108,5 კმ) ყველაზე კარგ შედეგს ბელგიელმა რიკ ვან ლინდენმა მიაღწია — 2:28.30. პირველი ათეულის დრო იგივეა. II ადგილზე გავიდა მოზერი, ხოლო VII — მერქსი.

ამრიგად, I ეტაპის ჯამში ყველას აჯობა მოზერმა — 4:46.46. II ადგილზე მყოფი მერქსი მოზერს ისევ 2 წამით ჩამორჩა.

მოზერმა შემდეგაც გამოიჩინა თავი: ყველას აჯობა II ეტაპზე (რუბე — ამიენი, 121,5 კმ).

III ეტაპი (ამიენი — ვერსალი, 169,5 კმ) მოიგო ბელგიელმა კარელ როტიერმა — 4:04.04. ამავე დროით ფინიშთან მეორე მიიჭრა მოზერი, ხოლო მესამე — მერქსი.

IV ეტაპი უფრო გრძელი იყო. ტრასა ვერსალიდან ლე მანამდე 223 კილომეტრზე გაიჭიმა. გაიმარჯვა ფრანგმა ჟაკ ესკლასანმა — 5:26.32. მერქსი და მოზერი პირველ ათეულში ვერ მოხვდნენ და საერთო ჩათვლაში მათს შორის სხვაობა იგივე დარჩა.

V ეტაპი (სარტის საბლე — სენ-ილერდ-რიე) წინაზე 500 მეტრით მოკლე იყო. გაიმარჯვა ჰოლანდიელმა თეო სმიტმა — 5:39.25. მერქსი III ადგილზე გავიდა.

ხუთი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში მოწინავეთა შორის ასეთი მდგომარეობაა: 1. მოზერი — 22:34.04, 2. მერქსი — 22:34.06, 3. მიშელ პოლენტიე (ბელგია) — 22:34.18, 4. ბერნარ ტევნე (საფრანგეთი) — 22:35.21, 5. ჰერმან ვან შპრინგელი (ბელგია) — 22:35.22.

(საქ. ინფ.).

* * *

სურათზე: ფ. მოზერი (შუაში) თანაგუნდელებთან ს. ფონტანელისთან და პ. დალაისთან ერთად.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა

ვაშინგტონის რობერტ კენედის სახელობის სტადიონზე, რომელიც 55 ათას მაყურებელს იტევს, გაიმართა საფეხბურთო მატჩი ადგილობრივ „დიპლომატებსა" და „ნიუ იორკ კოსმოსს" შორის. შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია: თამაშს 36 ათასი კაცი დაესწრო. ეს ციფრი ამერიკის შეერთებული შტატების რეკორდია (წინა რეკორდი — 24 ათასი მაყურებელი — შარშან დამყარდა).

პელეს გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და ვაშინგტონელთა კარში 9 ბურთი გაიტანა. შეხვედრის ანგარიშია 9:2. პელემ ორჯერ აიღო მასპინძელთა კარი.

(საქ. ინფ.).

● ●

„კიკერსის" ანკეტა

გფრ-ის 1974-75 წლების ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ცნობილმა სპორტულმა ჟურნალმა „კიკერსმა" ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელთა ასეთი ნაკრები დაასახელა: მაიერი („ბაიერნი"), ფოგთსი (მიონჰენგლადბახის „ბორუსია"), ტენჰაგენი („ბოხუმი"), ბეკენბაუერი („ბაიერნი"), დიცი („დუისბურგი"), ზეელი (დიუსელდორფის „ფორტუნა"), გრაბოვსკი („აინტრახტი"), ნოიმანი („კიოლნი"), სიმონსენი, ჰაინკესი (ორივე — „ბორუსია"), ჰელდი (ოფენბახის „კიკერსი").

მუჰამედ ალი მუჰამედ ალის როლში

ინგლისელი რეჟისორი ლესტერი იღებს მხატვრულ ფილმს მძიმე წონის მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონ მუჰამედ ალის ცხოვრების შესახებ. ფილმში მთავარი გმირის როლს ასრულებს... მუჰამედ ალი.

ფრიად დატვირთული პროგრამა

საშუალო წონაში პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის კარლოს მონსონის (არგენტინა) მწვრთნელები საგონებელში ჩავარდნენ. მათ მიაჩნიათ, რომ მონსონის ძალიან გაუჭირდება 1975 წლისთვის დასახული პროგრამის შესრულება. საქმე ის გახლავთ, რომ სამი უკვე დანიშნული მატჩის გარდა, მონსონმა ორჯერ უნდა გაატაროს სამ-სამი თვე... ციხეში, პირველად — ცოლის ცემისთვის, ხოლო მეორედ — მეგობრის გალახვისთვის.

„ინდეპენდიენტეს" გამარჯვება

ასუნსიონში (პარაგვაი) გაიმართა მესამე, დამატებითი ფინალური მატჩი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. არგენტინის ჩემპიონმა „ინდეპენდიენტემ" ანგარიშით 2:0 მოუგო ჩილის „უნიონ ესპანიოლს" და თასს დაეუფლა. ბურთები გაიტანეს მორენომ და ბერტონიმ.

ოლიმპიური ცნობები მონრეალიდან

Montréal
1976

მონრეალის 1976 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა თამაშების გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონიის ჩატარების წესი. გახსნის ცერემონია დაიწყება 1976 წლის 17 ივლისს, 15 საათზე ადგილობრივი დროით და ორ საათს გასტანს (ნაცვლად სამი საათისა, როგორც წინა თამაშებში იყო).

თამაშების მონაწილეთა წარდგენის დროს კი მკაცრად იქნება დაცული ოლიმპიური წესები. გახსნის ცერემონია დაიწყება სპორტსმენთა აღლუმით, რომელიც ერთ საათს გასტანს. მონაწილეებს რიტმული ცეკვებით მიესალმება ორი ათასი ახალგაზრდა კანადელი. ოლიმპიური ჩირაღდნის მოლოდინში თამაშების ყველა მონაწილე განლაგდება სტადიონის ცენტრში მდგარი ურნის ირგვლივ. ცეცხლის ანთების ცერემონიას დაახლოებით 12 წუთი დასჭირდება. შემდეგ მიუნხენის მერი ოლიმპიურ ალამს გადასცემს მონრეალის მერს ჟან დრაპოს.

თამაშის დახურვის ცერემონია დაიწყება 1 აგვისტოს, 20 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით და 45 წუთს გასტანს. პროგრამას გახსნის ფერად-ფერად კოსტიუმებში გამოწყობილ ქალიშვილთა კოლონა. სტადიონის ცენტრში ეს გოგონები „დაქარგავენ" ხუთ ოლიმპიურ რგოლს, რომელთაგან თითოეულში 150 სპორტსმენი შევა. ალამდარები და თამაშის მონაწილენი მარშით შემოუვლიან სტადიონს საბერძნეთის, კანადისა და სსრ კავშირის ეროვნული ჰიმნების შესრულებამდე. შემდეგ დაფდაფებითა და დოლებით შესრულდება ფანტაზია კანადელ ინდიელთა სიმღერების თემაზე. სტადიონზე ყველა ცეცხლი ერთდროულად ჩაქრება, აჟღერდება გამოსათხოვარი სიმღერა და თამაშების მონაწილენი კოლონებად დატოვებენ ოლიმპიურ სტადიონს.

დამთავრდა ოლიმპიადა-76-ის ძირითადი და სუბპრეს-ცენტრების ხელმძღვანელთა ერთთვიანი სემინარი. პრესცენტრების ხელმძღვანელები აირჩია გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა კანადის სავაჭრო პალატასთან ერთად. სუბპრეს-ცენტრის ცალკეულ ხელმძღვანელებს კონკურსით გამოყოფდა ერთ-ერთი 30 კომპანიიდან. კომპანია ხელმძღვანელსა და 4-დან 12 კვირამდე ვადით მივლინებულ პერსონალს ხელფასს უნარჩუნებს. პრესცენტრების 25 ხელმძღვანელს შორის ორი ქალია (ცურვისა და ბალახის ჰოკეიში).

ფირმა „ჯენერალ მოტორს ოფ კენადა ლიმიტედი" გამოცხადებულია ავტომანქანების ოფიციალურ მიმწოდებლად 1976 წლის ოლიმპიადისთვის. საორგანიზაციო კომიტეტსა და ფირმას შორის დადებული კონტრაქტის თანახმად ფირმა კომიტეტს გამოუყოფს 2 მილიონამდე კანადური დოლარის ღირებულების 1200 მსუბუქ მანქანას, სატვირთო მანქანას და მიკროავტობუსს. ავტომანქანების 90-მდე პროცენტი „ჯენერალ მოტორსის" კანადის ქარხნების ნაწარმი იქნება.

ივნისში კანადის საფოსტო უწყებამ გამოუშვა კიდევ სამი ახალი მარკა ოლიმპიადის თემაზე. მარკები შესაბამისად 20, 25 და 50 ცენტი ღირს. მათი ზომაა 30×48 მმ ვერტიკალური ფორმატით. მარკები ეძღვნება ჭოკით ხტომას, მარათონულ რბენას და თარჯრბენს. ახალი საფოსტო ნიშნები დამზადებულია ხუთფერი ლითოგრაფიით. ტირაჟები შესაბამისად ასეთია: 14, 12 და 12 მილიონი.

კანადის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ოლიმპიურმა ფონდმა დაამტკიცეს საფინანსო გეგმა — 900 ათასი დოლარი 1976 წლის თამაშებისთვის კანადელ სპორტსმენთა მზადებაში დახმარების გასაწევად. ამავე მიზნით 600 ათასი დოლარი გამოყო კანადის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ.

ახლახან მონრეალში მყოფმა ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ედგარ ტანერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ავსტრალიის ქალაქმა სიდნეიმ გადაწყვიტა თავისი კანდიდატურა წამოაყენოს 1988 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორად. მან თქვა, რომ მელბურნის 1956 წლის ოლიმპიურმა თამაშებმა ქალაქის მცხოვრებთ სარგებლობა მოუტანა და ამ ასპარეზობისთვის აგებულ სპორტულ ბაზებს დღესაც აქტიურად იყენებენ სპორტსმენები.

საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელთა ცნობებით, მშენებელი მუშების მაისის გაფიცვის შემდეგ ოლიმპიური ბაზების მშენებლობა ივნისში გეგმის მიხედვით განახლდა. ოლიმპიური სტადიონის, საცურაო აუზისა და ველოდრომის მშენებლობაზე კვირაში ექვს დღეს მუშაობენ. აქ 1600 კაცი შრომობს. სტადიონის ჩრდილოეთ მხარეზე, სადაც კოშკი შენდება, ღამის ცვლაა შემოღებული. ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე 800 მშენებელი მუშა შრომობს. მაისში მუშაობა შეწყვეტილი იყო ოლიმპიურ სოფელში ექვსი, ხოლო სტადიონზე — ცხრა დღით.

1975 წლის 19-27 ივლისს მონრეალის მაკჯილის უნივერსიტეტის სტადიონის ასტროტურფის ტიპის სინთეზური საფარით დაფარულ მინდორზე პირველად ჩატარდება საერთაშორისო თამაშები ბალახის ჰოკეიში. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს რვა ეროვნული გუნდი. მონაწილეთა შორის არიან ინდოეთის გუნდი, გფრ-ის კოლექტივი, აგრეთვე, პაკისტანის, ჰოლანდიის, არგენტინის, კენიის, დიდი ბრიტანეთისა და კანადის ჰოკეისტები. ტურნირის მონაწილეებს განზრახული აქვთ ბევრი მატჩი ტელევიზიით გადასცენ, ვინაიდან ბალახის ჰოკეი ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი კანადელი მაყურებლისთვის, სხვა ქვეყნებში კი მისი პოპულარობა სწრაფად იზრდება.

6-10 აგვისტოს ახალ სანიჩბოსნო არხზე, რომლის მშენებლობაც ივლისში დამთავრდება, ჩატარდება VI მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში 18 წლამდე ასაკის იუნიორთა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 500-ზე მეტი სპორტსმენი. არხი „ნოტრ დამი" სიგრძით 2 კილომეტრზე მეტია. იუნიორები რბოლებისთვის გამოიყენებენ არხის კილომეტრნახევრიან მონაკვეთს ყოფილი გამოფენის „ექსპო-67"-ის რაიონში.

კანადის ოლიმპიურმა რადიოსატელევიზიო ორგანიზაციამ დაიწყო ჟურნალ „ორტოკურიერის" რეგულარული გამოშვება (ტირაჟი — 12 ათასი ცალი). ახალი გამოცემა გათვალისწინებულია როგორც კანადის, ისე უცხოეთის რადიოსატელევიზიო კომპანიებისთვის. იგი გამოაქვეყნებს ცნობებს თამაშების ტრანსლაციის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. წლის ბოლომდე გამოიცემა ჟურნალის სამი ნომერი. 1976 წლიდან „ორტოკურიერი" ყოველთვიურად გამოვა. კანადის ოლიმპიურ რადიოსატელევიზიო ორგანიზაციას თამაშების ტრანსლაციის უფლება აქვს. ვარაუდობენ, რომ მას დედამიწის ხუთ კონტინენტზე მილიარდიანი აუდიტორია მაინც ეყოლება.

4 ეტაპის შემდეგ

გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა „იუგოსლავიის ტური". IV ეტაპზე (ლოჟნიცა — დივჩიბარე, 126 კმ) გაიმარჯვა პოსლუშნიმ (ჩეხოსლოვაკია) — 3:43.48. იმავე დროით II ადგილზეა ნილსონი (შვეცია). III ადგილი მისმა თანამემამულე იუჰანსონმა დაიკავა — 3:45.19.

4 ეტაპის შემდეგ ლიდერობს პოსლუშნი — 11:25.03. II ადგილზეა ნილსონი — 11:25.20, III — მატოუშეკი (ჩეხოსლოვაკია) — 11:25.36.

საბჭოთა მრბოლელთაგან საუკეთესოა ვ. ლიხაჩოვი — 11:27.02 (VI ადგილი).

(საქ. ინფ.).

მძლეოსანთა სტარტები

მილანი, 8 ივლისი. აქ გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში 100-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა იამაიკელმა დონ ქვორიმ — 10,0. ასეთივე დროით ფინიშთან მეორე იყო ამერიკელი სტივ უილიამსი. III ადგილი დაიკავა იტალიელმა პიეტრო მენეამ — 10,1. ასეთივე შედეგი ჰქონდა IV ადგილზე გასულ ამერიკელ სტივ რიდიკს.

200-მეტრიანი მანძილი ქვორიმ 20,1 წამში გაირბინა.

სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა დუაიტ სტოუნზმა — 221 სმ.

რედე (გფრ), 8 ივლისი. მსოფლიო რეკორდსმენმა, დასავლეთგერმანელმა კარლ-ჰანს რიმმა წლეულს მესამედ ტყორცნა ურო 78 მეტრს იქით. ჯერჯერობით იგი ერთადერთი ათლეტია მსოფლიოში, ვინც ეს ზღვარი გადალახა.

აქ გამართულ შეჯიბრებაში რიმმა 78,18 მეტრზე ტყორცნა ურო (სერიაში იყო, აგრეთვე, ტყორცნა 77,88 და 76,44 მეტრზე).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.